<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სამგორის ქუჩისთვის და ციხისძირის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, სამგორის ქუჩას და ციხისძირის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:488376 Y:4614700
X:488445 Y:4614682
X:488403 Y:4614649
ვარლამ ჩერქეზიშვილის ქ.
X:488123 Y:4614156
X:488110 Y:4614152
X:488221 Y:4614147
X:488200 Y:4614137
N
1:3,500

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

N 17347/01-56-03

17347-01-56-03-2-
202211111924

11/11/2022

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მიმდინარე წელს მთელი რიგი საზეიმო თუ შემეცნებით-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებები გაიმართა დიდი ქართველი მამულიშვილის ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 175-ე წლისთავთან დაკავშირებით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც წლების მანძილზე ვარლამ ჩერქეზიშვილის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეწავლა-წარმოჩენის ინიციატორი და ხელშემწყობი შუამდგომლობით შემოდის ქ.თბილისის საკრებულოს წინაშე, რათა ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილის, მსოფლიო სახელის მქონე პოლიტიკოსის და საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი.

საუნივერსიტეტო ინიციატივის გასამყარებლად მოვიშველიებთ რამდენიმე უმთვრეს მონაცემს მისივე ბიოგრაფიიდან. ვარლამ ჩერქეზიშვილი დაიბადა 1846 წლის 16 სექტემბერს თავად ჯან ასლან ჩერქეზიშვილისა და ქეთევან ჯანდიერის მრავალშვილიან ოჯახში. 10 წლის იყო როდესაც თავად-აზნაურთა ოჯახებიდან გამოსული თანატოლების მსგავსად სასწავლებლად რუსეთში გაგზავნეს. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, XIX საუკუნის 60-იანი წლებში რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისთვის ორჯერ გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს. 1876 წელს გადასახლებიდან ევროპაში მოახერხა გაქცევა. იმავე წელს მუშათა პირველი ინტერნაციონალის წევრი გახდა და 30 წლის განმავლობაში (1902 წლამდე) თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობაში. სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს რუსულ ემიგრანტულ გამოცემებში: **„Впередъ“** (ლონდონი) და **„Община“** (ჟენევა). ევროპელ ანარქისტთა ჟურნალ-გაზეთებში: **„La Revolte“** (ჟენევა), **„Les Temps Nouveaux“** (პარიზი), **„Freedom“** (ლონდონი) და სხვა. 70-იანი წლების ბოლოდან დაუახლოვდა და თანამშრომლობდა ევროპული ანარქისტული მოძრაობის ისეთ აღიარებულ ლიდერებთან როგორიც იყვნენ: პეტრე კროპოტკინი, ელიზე რეკლიუ, ჯეიმს გილიომი, ჟან გრავი და სხვები.

სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლის სათავეებთან: ვარლამ ჩექეზიშვილს, როგორც სოციალური თანასწორობისთვის მებრძოლს, სოციალიზმის საერთაშორისო სახელის მქონე თეორეტიკოსს, მის პირუთვნელ მემატიანეს საყოველთაო აღიარება მოუტანეს წიგნებმა: **„ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან“** (1896წ., პარიზი), **„როგორც იქნა აღიარეს“** (ლონდონი, 1896წ.), **„ინტერნაციონალის სათავეებთან“** (1899წ., ბრიუსელი), **„მარქსიზმის დოქტრინები“** (1903წ., ჟენევა) და სხვა. ეს შრომები მთელ მსოფლიოში: ევროპაში, ამერიკაში, აზიაში გამოქვეყნებისთანავე მრავალ, მათ შორის ჩინურ და იაპონურ ენებზე ითარგმნა და გამოიცა. საკუთარ შრომებში ქართველი ანარქისტი პროტესტს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მარქსისტები და მათი მიმდევრები სოციალიზმის განვითარების ყველა კანონზომიერების, მათ შორის ისტორიის მატერიალისტური გაგებისა და კაპიტალისტური წარმოების საიდუმლოს: ზედმეტი ღირებულების ცნების გამოაშკარავებას არა XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის უდიდეს გონებრივ და პოლიტიკურ მოძრაობას, არამედ კონკრეტულად მარქსისა და ენგელსის სახელს უკავშირებდნენ. მაშინ, როდესაც, თვით „კომუნისტური პარტიის მანიფესტიც“ კი, ვ.ჩერქეზიშვილის მტკიცებით მარქსსა და ენგელსს, ფრანგი სოციალისტის, დროთა განმავლობაში დაუმსახურებლად მივიწყებული ვიქტორ კონსიდერანის „დემოკრატიის მანიფესტიდან“ ჰქონდათ გადაწერილი.

რამდენად საფუძვლიანი იყო ვ.ჩერქეზიშვილის ბრალდებები, ის ფაქტიც ადასტურებს რომ XX საუკუნის დასაწყისში მას ანგარიშს უწევდნენ, ქართული და ევროპული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ეკამათებოდნენ საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ისეთი აღიარებული ლიდერები როგორიც იყვნენ: იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი), გიორგი პლეხანოვი, კარლ კაუცკი, კარლ ლიბკნეხტი და სხვები. ვ.ჩერქეზიშვილის შრომებს აფასებდა და მარქსიზმის ანარქისტული კრიტიკის ნიმუშებს შორის ასახელებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრთის ლიდერი ვლადიმერ ულიანოვიც (ლენინი). კატეგორიულად ემიჯნებოდა რა მარქსისტებს, როგორც ცენტრალიზებული, ბიუროკრატიული, „სახელმწიფო სოციალიზმის“ მქადაგებლებს, ვ.ჩერქეზიშვილის იდეალს: განათლებული და სოლიდარული კაცობრიობის თავისუფლად დაკავშირებული ასოციაციების მიერ დამუშავებული, მათივე ზრუნვის საგნად ქცეული დედამიწა წარმოადგენდა.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე და თანამებრძოლი: დიდია ვარლამ ჩერქეზიშვილის ღვაწლი საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ თუ XIX-XX საუკუნეების სამანზე რუსეთის იმპერიის ფარგლებში ეროვნული ძალების შემაკავშირებლისა და წინამძღოლის ფუნქციებს ილია ჭავჭავაძე ასრულებდა, ევროპაში ვარლამ ჩერქეზიშვილის ბადალი პიროვნება ქართველ ერს არ ყავდა. როგორც წერილობით დასტურდება ამ ორ დიდ მამულიშვილს მეგობრობისა და თანამშრომლობის ათწლეულები აკავშირებდათ. ვარლმის პირველი წერილი - „მოკლე განხილვა სლავიანების ეროვნებათა აღორძინებისა“ - ჟურნალ „ივერიაში“ ჯერ კიდევ 1881 წელს გამოქვეყნდა.

ძნელია მოიძებნოს იმ დროს ეროვნული ძალების მიერ ევროპაში განხორციელებული თუნდაც ერთი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქცია, რომელშიც ვარლამ ჩერქეზიშვილს, თუ თვითონ არ იყო მისი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, აქტიური მონაწილეობა მაინც არ მიეღო, პატრიოტული ძალებისთვის დახმარება არ გაეწია. აღნიშნულის დასტურად შეიძლება დასახელდეს: არჩილ ჯორჯაძისა და მისი თანამზრახველი ქართველი პატრიოტების მიერ პარიზში გაზეთ „საქართველოს" გამოცემა; 1904 წელს ქ.ჟენევაში ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა, რომლის მიზანსაც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში პოლიტიკური პარტიების ძალისხმევის გაერთიანება წარმოადგენდა; ქართველი სოციალ-ფედერალისტების მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასახმარებლად საქართველოში გემით დიდძალი იარაღისა და საბრძოლო მასალის შემოტანა; დუშეთის ხაზინიდან 350 ათასი რუბლის გატაცების ორგანიზატორებისა და აღმსრულებლების ძმები კერესელიძეების შვეიცარიის მთავრობის მიერ რუსეთისათვის გადაცემის საწინააღმდეგო კომპანიის წარმატებით წარმართვა; 1905-1906 წ.წ. რუსული დამსჯელი რაზმების მიერ დასავლეთ საქართველოს რიგი ქალაქებისა და სოფლების გადაწვის, თბილისში ჩადენილი საზარელი მკვლელობების, მოსახლეობის დარბევა-დაწიოკების შესახებ ევროპისა და ამერიკის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება; გორის მაზრაში, ტირიფონის ველიდან, ქართული სოფლების აყრისა და უხოეთში გადასახლების საწინააღმდეგო აქციის წარმატებით დასრულება; უსამართლოდ რეპრესირებულ ქართველ სასულიერო პირთა გადასახლებიდან დასაბრუნებლად თუ, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა, ინტენსიური თანამშრომლობა პირველი მსოფლიო ომის წლებში ახალგაზრდა ქართველი პატრიოტების: პეტრე სურგულაძის, სპირიდონ კედიას, რევაზ გაბაშვილის, მიხაკო წერეთლის, გიორგი მაჩაბელის, მელიტონ ქარცივაძის მიერ ემიგრაციაში შექმნილ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან და სხვა.

ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო პოლიტიკოსი, რომელმაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში, ევროპაში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით პირველმა აღიმაღლა ხმა რუსეთის მიერ საქართველოსა და ზოგადად ამიერკავკასიაში გატარებული კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. თანამემამულეებიდან პირველმა მიაქცია მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ყურადღება 1783 წელს რუსეთის მიერ საქართველოსთან დადებული საერთაშორისო სამოკავშირეო ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივ ასპექტებს და პირველად, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ეს საკითხი საერთაშორისო კონფერენციის მსჯელობის საგნად აქცია. იგულისხმება ჰააგის 1907 წლის საერთაშორისო კონფერენცია და მისი შედეგები - საქართველოს გაწევრიანება დაჩაგრულ ერთა ლიგაში, ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მისი თანამებრძოლების რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის მამხილებელი გამოსვლები ლიგის კონგრესებზე და სხვა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1918-1921 წლებში ის ჰოლანდიელ მეუღლესთან - ფრიდასთან ერთად საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ, საგანმანათლებლო საქმიანობაში.

ვარლამ ჩერქეზიშვილი როგორც საქართველოში საუნივერსიტეტო განათლების დამკვიდრების ერთ-ერთი ინიციატორი: შესანიშნავად ქონდა რა გათავისებული განათლების მნიშვნელობა როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოებისთვის, ვ.ჩერქეზიშვილი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან აქტიურად უჭერდა მხარს თერგდალეულების მიერ ინიცირებულ საკითხს თბილისში სწორედ უნივერსიტეტის და არა სამხედრო, ან რომელიმე სხვა სახის სასწავლებლის გახსნის თაობაზე. ათწლეულების მანძილზე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ნობათი“ და სხვა, წერილების მთელი სერია მიუძღვნა ზოგადად განათლების, მისი დანიშნულებისა და უკეთ ორგანიზების მიზნით ევროპული გამოცდილების გაზიარების საკითხებს. გამუდმებით დევნილობაში მცხოვრებს, როგორც კი მიეცემოდა შესაძლებლობა სიამოვნებით ითავსებდა პედაგოგიურ საქმიანობას. მისი მოსწავლე იყო მარჯორი უორდროპი, რომელსაც ქართულს ასწავლიდა და რომელიც, ინგლისურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მთარგმნელია. მისგან, როგორც წინამორბედისა და მოძღვრისგან დიდად იყო დავალებული XIX საუკუნის მიწურულს XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდების უნიჭიერესი თაობა: მიხაკო წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, კომანდო გოგელია და სხვები. 1905-1907 წლებში, როგორც კი მიეცა სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა ვარლამ ჩერქეზიშვილი თბილისში, ქუთაისში, საქართველოს სხვა ქალაქებში სახალხო უნივერსიტეტის ფორმატით ხშირად გამოდიოდა ფართო აუდიტორიის წინაშე, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ისე ზიგადსაგანმანათლებლო ხასიათის საჯარო ლექციებით.

1917 წელს მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ვ.ჩერქეზიშვილი, მიუხედავად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობისა და მოუცლელობისა დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდა ახლადდაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში. სოლიდური ასაკის მიუხედავად (იმ დროისათვის ის უკვე 70 წელს იყო გადაცილებული), შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან საკუთარი ცოდნა, გამოცდილება გაეზიარებინა სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა თანამემამულეებისთვის.

სამწუხაროდ, სამშობლოში დიდხანს დარჩენა მას არც ამჯერად დასცალდა. 1921 წლის თებერვალში 75 წლის ვ.ჩერქეზიშვილი ქართულ ჯარში მოხალისედ ჩაეწერა და იარაღით ხელში იცავდა პირველი ქართული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ კი, იძულებული გახდა უკვე სამუდამოდ დაეტოვებინა სამშობლო და მისთვის ესოდენ ძვირფასი უნივერსიტეტი. მან საცხოვრებლად კვლავ ინგლისს მიაშურა, სადაც გარდაიცვალა 1925 წლის 18 აგვისტოს 79 წლის ასაკში. მისი ფერფლი, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა, გარდაცვალებიდან 75 წლის შემდეგ, მოძიებულ იქნა ქ.ლონდონში „**Golders Green**”-ის კრემატორიუმში, სადაც ის დღემდე განისვენებს.

2019 წლის 15 მაისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ვარლამ ჩერქეზიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის სრულყოფილად წარმოჩენისა და საზოგადოებაში მისი ცნობადობის ამაღლების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ვ.ჩერქეზიშვილისადმი

მიძღვნილი პირველი დარგთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია, გამოიცა კონფერენციაზე წაკითხულ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო შრომების პირველი კრებული, ვ.ჩერქეზიშვილის სახელი ეწოდა საჯარო სკოლას მის მშობლიურ სოფელ თოხლიაურში და ქუჩას ქ.საგარეჯოში. მიმდინარე 2022 წელს ვ.ჩერქეზიშვილის დაბადებიდან საიუბილეო 175 წლისთავთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ვ.ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნილი მეორე დარგთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მოეწყო ვ.ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტო გამოფენა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ უკვე უმასპინძლეს გორისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებმა, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციამ ორბელიანების სასახლეში. დიდი მამულიშვილის ცნობადობის ასამაღლებლად გათვალისწინებულია გამოფენის გატანა სხვა სახელისუფლებო დაწესებულებებსა და საუნივერსიტეტო ქალაქებში. მიმდინარე წელსვე საქართველოს ფოსტამ 20 000 ტირაჟით გამოსცა და უკვე ბრუნვაშია ჩაშვებული ვ.ჩერქეზიშვილის 175 წლისთავისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შუამდგომლობს თქვენს წინაშე რათა, ამ დიდ საიუბილეო თარიღთან, ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 175-ე წლისთავთან დაკავშირებით, დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი.

პატივისცემით,

ჯაბა სამუშია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01231223955**
თარიღი: **02/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 01.05.2023 წლის #03-032312172 (01.05.2023 წ. #14-01231212792-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032312172**
თარიღი: **01/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ჯაბა სამუშიას 2022 წლის 14 ნოემბრის საქმე #04-03223189-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ისნის რაიონში, სამგორის ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 6 (ექვსი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ვარლამ ჩერქეზიშვილი

(1846 - 1925)

პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ანარქისტი.

დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ თოხლიაურში 1846 წელს თავად ჯან ასლან ჩერქეზიშვილისა და ქეთევან ჯანდიერის მრავალშვილიან ოჯახში.10 წლის იყო, როდესაც სასწავლებლად რუსეთში გაგზავნეს. ჯრტ კიდევ სტუდენტობისას, XIX საუკუნის 60-იან წლებში, რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისთვის ორჯერ გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს.

1866 წელს პირველად დააპატიმრეს, რუსეთის იმპერიის ხელისუფლების წინააღმდეგ ორგანიზაციაში მონაწილებისათვის. 1871 წელს მეორედ დააპატიმრეს, გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს. 1875 წელს გადასახლებიდან ევროპაში გაიქცა. 1876-78 წლებში თაბამშრომლობდა რუსულ ემიგრანტულ ჟურნალში: „ვპერიოდ“ (ლონდონი) და „ობშჩინა“ (ჟენევა). 1877 წელს შევიდა ანარქისტული ინტერნაციონალურ იურის ფედერაციაში (შვეიცარია). 1877-80 წლებში დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ევროპული ანარქისტული მოძრაობის თავკაცს ჯეიმზ გილიომს, ელისე რეკლიუს, პეტრე კროპოტკინს და სხვებს.

რუსეთის იმპერატორისაგან დევნილი და საკუთარი იდეალებისთვის მებრძოლი, არასოდეს ივიწყებდა თავის სამშობლოს და მისთვის სამსახური უმაღლეს პოსტულატედ მიაჩნდა. იგი არალეგალურად ჩამოდიოდა საქართველოში. დიდად მფარველობდა უცხოეთში მოხვედრილ ქართველებს. ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში განუწყვეტლად წერდა საქართველოს, მისი პოლიტიკური ყოფის შესახებ.

1894 წლიდან ილია ჭავჭავაძემ თავის სახელგანთქმულ „ივერიაში“ დაიწყო მისი წერილების და კორესპონდეციების ბეჭდვა, „ვაზიანის“ ფსევდონიმით. მან გააცნო ილიას და ქართველ საზოგადოებას მარჯორი უორდროპი. 1904 წელს მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ პოლიტიკური პარტიების და ფრაქციების გამაერთიანებელ ჟენევის კონფერეციის მუშაობაში, რომელმაც მიზნად დაისახა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა. 1903 წელს მისი დახმარებით, არჩილ ჯორჯაძემ და მისმა თანამოაზროვნეებმა პარიზული გამოცემის პირველი ქართული ეროვნულ-რევოლუციური გაზეთი „საქართველო“ და მისი ფრანგული დამატება „ლა გეორგე“. 1905 წელს მისი დახმარებით ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა ევროპიდან მიიღო იარაღის დიდი პარტია და ჰოლანდიელი ანარქისტებისგან, ხოლო ეკიპაჟს მეთაურობდა მისივე მეგობარი, ცნობილი ჰოლანდიელი ანარქისტი ქრისტიან კორნელისი. 1907 წელს მისივე დიდი ძალისხმევით წარუდგინა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს რამდენიმე ათასი კაცის მიერ ხელმოწერილი „საქართველოს ხალხის კანონიერი უფლება – აღედგინა ეროვნული სახელმწიფოებრიობა“. 1910 წელს მონაწილეობდა ლონდონში გამართულ მსოფლიო ჩაგრულ-დაპყრობილ ხალხთა საერთაშორისო კონფერენციაზე და იცავდა საქართველოს უფლებებს. კონფერენციის მდივანი იყო მისი ფრანგი მეუღლე – ფრიდა.

რაც შეეხება მის შემოქმედებას, ის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც გააკრტიკა მარქსიზმი, მისი მიმდევრები და თავად მარქსი. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, ევროპაში გამოქვეყნებული ნაშრომებში, ქართველი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი ბრალს სდებს მარქსიზმის ფუძემდებლებს და მათ მიმდევრებს – პლაგიატში, დასავლელი მოაზროვნეების ნააზრევის მითვისებაში. რაც მთავარია, ამისთვის მას ჰქონდა სათანადო არგუმენტები და მტკიცებები.

მისი კრიტიკის ობიექტი იყო: მარქსიზმის კლასიკოსებში, მიმდევრებში – ხელფასის კანონი და კლასთა ბრძოლის პრინციპის აღმოჩენა, ენგელსის ნაშრომებში – ბეკონისა და ლოკის მატერიალიზმი. მისი მტკიცებულებით, მარქსმა მიითვისა – მორგანის არაერთი გამოგონება და აღმოჩენა, ენგელსმა მიითვისა – ბიურეს ფუნდამენტური შრომის კომფისკაცია, მარქსმა და ენგელსმა – “კომუნისტური პარტიის მანიფესტი”, რომელიც სინამდვილეში ეკუთვნის ვ. კონსიდერანს. ასევე, მარქსმა სრულიად უსამართლოდ მიისაკუთრა I ინტერნაციონალის დაარსება,რომელიც მარქსის მიმდევრების თქმით შეიქმნა 1864 წელს, სინამდვილეში კი 1842 წელს არის შექმნილი. ამის დასამტკიცებლად ის იმოწმებს ისტორიულ წყაროებს. უფრო მეტიც, მარქსმა მიწერა ენგელსს, რომ მას არ სურდა მასში გაწევრიანება, მაგრამ მას შემდეგ დათანხმდა, რაც იუნგისგან მიიღო მოწვევა.

გრიგოლ რობაქიძე წერდა მასზე: „იყო ერთი ქართველი თავადი, ანარქისტი და თავდადებული მამულიშვილი ვარლამ ჩერქეზიშვილი. ქართული მას არ ემარჯვებოდა. საქართველოს ბავშვობიდანვე იყო მოწყვეტილი. იცოდა რუსული, ფრანგული და ინგლისური. სიკვდილის წლებში, როდესაც ადამიანის მთელი არსი შეირხევა საუკუნიდან მოწყვეტილი ფესვები, უეცრად რუსულიც დაავიწყდა, ფრანგულიც და ინგლისურიც და მომაკვდავმა ქართულად დაიწყო წერა.“უკვე 72 წლის მოხუცი 1918 წელს ჩამოვიდა თავისუფალ საქართველოში, 40 წელზე მეტი ხნის განდევნილობიდან. 1921 წლის

თებერვალში, როცა ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო დამოუკიდებელი საქართველოს უტევდა, ის თოფით ხელში დაადგა კოჯრის გზას, დასაკარგად განწირული თავისუფლების დასაცავად. 1921 წელს საბოლოოდ გაიხიზნა.

1925 წლის 18 აგვისტოს გარდაიცვალა და დაკრძალეს ლონდონში.